საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# საქართველოს საჰაერო ტრანსპორტის მაჩვენებლები

## 2026 წლის I კვარტალი



20.05.2026
www.geostat.ge

## საჰაერო ტრანსპორტის ძირითადი მაჩვენებლები (2026 წლის I კვარტალი)

2026 წლის I კვარტალში საქართველოს აეროპორტები 1.6 მილიონ მგზავრს მოემსახურა[1], რაც 4.3 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს — აეროპორტებიდან გაემგზავრა 0.8 მილიონი მგზავრი (5.3 პროცენტით მეტი), ხოლო აეროპორტებმა მიიღო 0.8 მილიონი მგზავრი (3.3 პროცენტით მეტი)

**მგზავრთა ნაკადი საქართველოს აეროპორტებში,**
(ათასი კაცი)




[1]**წყარო:** სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

20.05.2026

2026 წლის I კვარტალში საქართველოს აეროპორტებში მგზავრთა ნაკადის 93.6 პროცენტი რეგულარულ ფრენებზე მოდიოდა.

**მგზავრთა ნაკადის პროცენტული განაწილება ფრენების კატეგორიის მიხედვით**
(%)




2026 წლის I კვარტალში საქართველოს აეროპორტებიდან განხორციელებული სამგზავრო რეისების რაოდენობამ 7.3 ათასი შეადგინა, რაც 20.8 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

**სამგზავრო რეისების რაოდენობა**
(ათასი)



20.05.2026

2026 წლის I კვარტალში საქართველოს აეროპორტებში ტვირთისა და ფოსტის ნაკადის მოცულობამ 10.3 ათასი ტონა შეადგინა, საიდანაც 92.1 პროცენტი მიღებული ტვირთი და ფოსტა იყო, ხოლო 7.9 პროცენტი — გაგზავნილი.

**ტვირთის და ფოსტის ნაკადი საქართველოს აეროპორტებში**
(ათასი ტონა)




ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ტვირთისა და ფოსტის ნაკადის განაწილებას საქართველოს აეროპორტებში ფრენის კატეგორიების მიხედვით.

**ტვირთის და ფოსტის ნაკადის პროცენტული განაწილება ფრენის კატეგორიების მიხედვით**
(%)



2026 წლის I კვარტალში საქართველოს აეროპორტებში 0.9 ათასი სატვირთო რეისი განხორციელდა, რაც 6.2 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

2026 წლის I კვარტალში საქართველოს საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანილია 190.7 ათასი მგზავრი და გადატანილია 30.5 ათასი ტონა ტვირთი. აღნიშნულ პერიოდში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა 57.7 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს, ხოლო გადატანილი ტვირთის მოცულობა 18.1 პროცენტით ნაკლებია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე.

**საქართველოში რეგისტრირებული ავიაკომპანიების მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა და გადატანილი ტვირთის მოცულობა**




**საკონტაქტო პირები:**

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge